საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი #1
17.03.2014

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**17 მარტი, 2014წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" თავმჯდომარე
მარიამ ჯაში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" თანათავმჯდომარე
მიხეილ ჯანელიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
ელენე ჯიბლაძე	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
ნოე ქინქლაძე	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი
თეა გულუა	„პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს" წარმომადგენელი
ირაკლი პეტრიაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ირინა კვახაძე	ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
კახაბერ დაუშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტების კოორდინატორი
საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
თეა კვინტრაძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

შტეფან შტორკი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პაატა ჟორჟოლიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
სოფიო ქემხაძე	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA) წარმომადგენელი
ირაკლი შურღულაია	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროფესიული კვალიფიკაციის ექსპერტი
ციური ანთაძე	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
საბჭოს სხდომის მდივანი	
ვიქტორია ზამთარაძე	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობების და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
ანა მჭედლიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი
საკითხი #1
საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმება - „დასაქმება და პროფესიული განათლება";
საკითხი #2
საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის მანდატის განსაზღვრა;
საკითხი #3
საბჭოს სამდივნოსა და სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხის განხილვა.

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმება - „დასაქმება და პროფესიული განათლება" ;
2. „დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ მუშაობის მანდატის განსაზღვრა;
3. საბჭოს სამდივნოსა და სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა - ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა სხდომის მონაწილეებს წარუდგინა პრეზენტაცია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების „დასაქმება და პროფესიული განათლება“ შესახებ.

პრეზენტაციის დასრულებისას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ - ბატონმა მიხეილ ჯანელიძემ ითხოვა საბჭოს წევრებისთვის საბიუჯეტო შეთანხმების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციისა და იმ ინდიკატორების გაგზავნა, რომლითაც მოხდება პროგრამის შეფასება.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა განმარტა, რომ ინდიკატორები წარმოდგენილია პოლიტიკის მატრიცის ფორმატით, შესაბამისად განმახორციელებელი მხარეებისთვის ცნობილია საკუთარი ვალდებულებების შესახებ და პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება უწყებათაშორისი კოორდინაციით. სამდივნოს დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაზიარება საბჭოს წევრებისთვის.

ასევე, ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს ყოველი სხდომისთვის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ

ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება წინასწარ მოხდება სამდივნოს მიერ, რაც საბჭოს მუშაობას უფრო ნაყოფიერს გახდის.

ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი - ბატონი შტეფან შტორკი მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მონაწილეებს და ისაუბრა საბიუჯეტო დახმარების პროგრამის მნიშვნელობაზე.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ - ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საბჭოს დებულება და საბჭოს წევრების საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბჭოს წარმომადგენლებისთვის.

საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა - ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა დასვა შეკითხვა, თუ რატომ არ არის საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წარმოდგენილი საკოორდინაციო საბჭოში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა განმარტა, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას, როგორც „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს" (შემდგომში ეროვნული პროფესიული საბჭო) წევრს, ჰქონდა შესაძლებლობა კენჭისყრის საფუძველზე, ხმების საკმარისი რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში წარმოდგენილი ყოფილიყო საკოორდინაციო საბჭოში, როგორც ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენელი. თუმცა, მიმდინარე წლის 14 მარტს ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ეროვნულ პროფესიულ საბჭოს წარმომადგენელი საკოორდინაციო საბჭოში იქნება საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - ქალბატონი თეა გულუა.

ბატონმა მიხეილ ჯანელიძემ და ბატონმა ირაკლი პეტრიაშვილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრობა საკოორდინაციო საბჭოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ეროვნულ დონეზე ყველაზე წარმომადგენლობითი და ამასთან, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ორგანიზაციაა.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ასოციაციის მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიღებული აქვს წერილობითი ფორმით, შესაბამისად, მან შესთავაზა კომისიის წევრებს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა მომხდარიყო საბჭოს შემდეგ სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად.

დამსწრე აუდიტორია დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას და დამატებით გამოთქვა მოსაზრება, რომ მოხდეს დამკვირვებლის სტატუსის განმარტება და შესაბამისი ფუნქციების განსაზღვრა. აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ელენე ჯიბლაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა განისაზღვროს, როგორც საბჭოს წევრების, ისე დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირების ფუნქციები.

საბჭოს სხდომაზე დაისვა სამდივნოს წარმომადგენლების განსაზღვრის საკითხი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან დასახელდა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობების და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - ვიქტორია ზამთარაძე, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან - პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ანა მჭედლიშვილი.

ბატონმა მიხეილ ჯანელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას პორტალი, სადაც ყველა წევრსა თუ დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირს ექნება წვდომა პროგრამის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების თაობაზე.

ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ განიხილება პლათფორმის შემუშავების საკითხი, სადაც საკოორდინაციო საბჭოში წარმოდგენილ პირებს ექნებათ შესაძლებლობა ჰქონდეთ ინდივიდუალური წვდომა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება მიმდინარე ეტაპისთვის საჯარო არ იყოს.

ქალბატონმა მარიამ ჯაშმა, განმარტა თუ რას გულისხმობს საბიუჯეტო დახმარების პროგრამა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პროექტის აღქმა არაერთგვაროვანია და არსებობს

მოსაზრებები, რომ სამინისტროები უშუალოდ არიან ჩართულნი ფინანსური საკითხების ადმინისტრირებაში. ქალბატონმა მარიამმა, ხაზი გაუსვა, რომ მთავარია პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული აქტივობები შესრულდეს სწორად და კოორდინირებული იყოს ყველა უწყებასთან.

ბატონმა შტეფან შტორკმა წამოჭრა სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირების საკითხი, რაზეც ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა აუცილებლად მოხდება საკოორდინაციო საბჭოს მომდევნო სხდომაზე, დღის წესრიგისა და პროგრამის განხორციელების პირველი ანგარიშის მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა და აღნიშნა, რომ მომდევნო სხდომაზე წარმოდგენილი იქნება პირველი ანგარიში პროგრამის განხორციელების შესახებ.

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თავმჯდომარე

ქეთევან ნატრიაშვილი

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომის თანათავმჯდომარე

მარიამ ჯაში

„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სამდივნო:

ანა მჭედლიშვილი

ვიქტორია ზამთარაძე